სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

25 დეკემბერი 2023

N 737/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბათუმის სივრცის დაგეგმარებისა და გენერალური გეგმის კონცეფციაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გაიცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბათუმის სივრცის დაგეგმარებისა და გენერალური გეგმის კონცეფციაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა;
2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ სგშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო